899-962-1(03)
ნ- 674

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

შოთა რისთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მაია გრიგოლის ასული ნინიძე

ილია ჭავჭავაძის ქრისტიანული მრწამსი და მხატვრული შემოქმედება

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში.

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
გ. ლომიძე

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. სულავა
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ფ. კოტეტიშვილი
3. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ჭელიძე

წამყვანი ორგანიზაცია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის ----------
----------საათზე
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P. 10.01.01 3) სხდომაზე. მისამართი 380008, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. 5.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
ავტორეფერატი დაგზავნილია 1999 წლის ----------

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ა. არაბული

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა და გამოკვლევის მიზანი.</u> ილია ჭავჭავაძემ, როგორც მწერალმა და როგორც საზოგადო მოღვაწემ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მან თითქოს გამოაღვიძა სულიერად მიძინებული ჩვენი ერი და სათავეში ჩაუდგა არაერთ ისეთ წამოწყებას, რომელიც ხალხის სულიერ, ზნეობრივ და კულტურულ წინსვლას ისახავდა მიზნად. მისი შემოქმედება რომ სრულყოფილად იყოს თარგმნილი და გაანალიზებული, მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურისთვისაც უდიდესი შენაძენი იქნებოდა, რადგან მწერლის ლირიკული გმირის განცდებიც და ეპიკური სახეებიც იმდენად ღრმა და მრავლისმთქმელია, რომ ეროვნულ ელფერს მიღმა ზოგადადამიანურ სახეს ატარებს.

შემოქმედის ცხოვრება და მისი ნაღვაწი რომ სრულყოფილად გაანალიზდეს და სწორად შეფასდეს, ამისთვის აუცილებლად დროა საჭირო. სამწუხაროდ, იშვიათია, რომ ეს მისმა თანამედროვეებმა შეძლონ. ქება-დიდება ილიას არც სიცოცხლეში დაჰკლებია და არც შემდეგ, მაგრამ მისი სულის შეცნობა, ნააზრევის წვდომა და დაფასება მაინც ძნელი აღმოჩნდა. ეს საქმე კიდევ უფრო გაართულა იმან, რომ, ჯერ კიდევ მწერლის გარდაცვალებამდე, ქვეყანაში ფეხი მოიკიდა ანტიეროვნულმა და ათეისტურმა პოლიტიკურმა ძალებმა. ეს ის დრო, ის ვადასახედი იყო, საიდანაც ყველაზე უკეთ უნდა გამოჩენილიყო მწერლის ნაღვაწი, მაგრამ არსებულ პირობებში მისი სწორი, მეცნიერული ანალიზი ვერ განხორციელდა.

ახლა, როცა ილიას ღვთისმოსავობა და ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ მისი სწრაფვა დასამალი აღარ არის, დადგა დრო, მის თხზულებებს სწორი გასაღები მოვარგოთ და გავხსნათ მათ შემოქმედებით ჩანაფიქრთა იდუმალი კარები. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ნიჭიერი და გამოცდილი